# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 390

„ 10 " ოქტომბერი 2017 ў

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.033) ზურაბ ოქროპირიძისთვის (პ/ნ: 01017037231) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122¹ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.033) ზურაბ ოქროპირიძისთვის (პ/ნ: 01017037231) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის №37.04.709 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.033) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ზურაბ ოქროპირიძისთვის (პ/ნ: 01017037231) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი